# პროფესიული სერტიფიცირების გამოცდა

# ACCA-ის პროგრამის მიხედვით

| | |
|---|---|
| გამოცდის დასახელება | ბუღალტერი ბიზნესში |
| მოდულის ნომერი | **F1** |
| თარიღი | |

ყველა ტესტი სავალდებულოა
ყველა ტესტი ორქულიანია

## განყოფილება ა – ყველა, 40 კითხვა, სავალდებულოა და უნდა გაეცეს პასუხი

**გამოიყენეთ კანდიდატის პასუხების ბუკლეტის ყდის შიდა მხარე არჩევითპასუხიან კითხვებზე პასუხის გასაცემად**

**1. ამ ორგანიზაციათაგან, როგორც წესი, რომელი გვხვდება საჯარო სექტორში?**

**ა.** ბიზნესი;

**ბ.** საქველმოქმედო ორგანიზაცია;

**გ.** სკოლები. **(1 ქულა)**

**2.** ოფშორინგი ნიშნავს არსებული თანამშრომლების გადასროლას სხვა ქვეყანაში, სადაც დაბალი სახელფასო განაკვეთია.

**ეს განაცხადი სწორია თუ მცდარი?**

**ა.** სწორია;

**ბ.** მცდარია. **(1 ქულა)**

**3.** არაფორმალურმა ორგანიზაციამ შეიძლება ხელი შეუწყოს ან შეუშალოს კომპანიის განვითარებას.

**ეს განაცხადი სწორია თუ მცდარი?**

**ა.** სწორია;

**ბ.** მცდარია. **(1 ქულა)**

**4.** F ოპერირებს ბაზარზე, სადაც მხოლოდ ორი მეტოქე ყავს – თითოეული ზუსტად F-ის სიდიდისაა.

**რომელი ტიპის ბაზარზე ოპერირებს F?**

**ა.** ოლიგოპოლია;

**ბ.** მონოპოლისტური კონკურენცია. **(1 ქულა)**

**5. ახალი ტექნოლოგიების გამოყენება ხშირად ნიშნავს, რომ კომპანიას თავისი ოპერაციების ავტომატიზება შეუძლია. ეს ცვლის ორგანიზაციულ სტრუქტურას შემდეგნაირად:**

**ა.** მენეჯერებს მეტი დრო აქვთ თანამშრომლების გასაკონტროლებლად;

**ბ.** ორგანიზაციას საშუალება ეძლევა უფრო „მაღალ“ სტრუქტურად რეორგანიზდეს;

**გ.** შესაძლებელია ორგანიზაციის სტრუქტურული დონეების შემცირება მენეჯერის კონტროლის დიაპაზონის შემცირებით.

**(1 ქულა)**

**6.** კომპანიას, რომელიც თავის პროდუქტს ყიდის მეტოქის მსგავს პროდუქტზე იაფად, არჩეული აქვს დიფერენცირების სტრატეგია.

**ეს განაცხადი სწორია თუ მცდარი?**

**ა.** სწორია;

**ბ.** მცდარია. **(1 ქულა)**

**7.** დეონტოლოგიური ეთიკის მიხედვით, ქცევის/ქმედების შედეგები მხედველობაში არ უნდა იქნას მიღებული.

**ეს განაცხადი სწორია თუ მცდარი?**

**ა.** სწორია;

**ბ.** მცდარია. **(1 ქულა)**

**8.** კომიტეტები, ინდივიდებთან შედარებით, უფრო სწრაფად იღებენ გადაწყვეტილებას, რადგან აერთიანებენ ბევრი ადამიანის უნარსა და ცოდნას.

**ეს განაცხადი სწორია თუ მცდარი?**

**ა.** სწორია;

**ბ.** მცდარია. **(1 ქულა)**

**9.** მმართველობითი აღრიცხვის ფუნქციის ქონა კომპანიებს კანონმდებლობით არ მოეთხოვებათ.

**ეს განაცხადი სწორია თუ მცდარი?**

**ა.** სწორია;

**ბ.** მცდარია. **(1 ქულა)**

**10.** გარე აუდიტორებს არ აინტერესებთ იმ ორგანიზაციის შიდა კონტროლის სისტემები, რომლის აუდიტსაც აკეთებენ.

**ეს განაცხადი სწორია თუ მცდარი?**

**ა.** სწორია;

**ბ.** მცდარია. **(1 ქულა)**

**11.** შპს ა არის კომპანია, რომლის საქმიანობის სფეროა სატყევე მეურნეობა. მან ახლახან შეისყიდა შპს ბ, რომელიც რეკრეაციული კურორტების ქსელის მფლობელია. ა-მ რამდენიმე ახალი კურორტის მშენებლობის უფლება მისცა ბ-ს თავის კუთვნილ მიწაზე, რომელსაც უკვე აღარ იყენებს. ეს კურორტები აღმოჩნდა მომგებიანი და პოპულარული.

**ქვემოთ მოყვანილთაგან, რომელი აღწერს მიზეზს, რის გამოც ერთობლივი საწარმოს საქმიანობა მომგებიანი აღმოჩნდა?**

**ა.** სპეციალიზაცია;

**ბ.** სოციალური ინტერაქტიულობა;

**გ.** მომსახურება;

**დ.** სინერგია. **(2 ქულა)**

12. შპს H აწარმოებს განსხვავებულ პროდუქტებს, მათ შორის, ველოსიპედებს, ავეჯსა და ელექტროსაქონელს. მან იცის, რომ თითოეული პროდუქტის წარმოებას სჭირდება განსხვავებული სტრატეგია და ფუნქცია. H-ს სურს, ჰქონდეს ისეთი სტრუქტურა, რომ თითოეული პროდუქტის წარმოება იმართებოდეს დამოუკიდებლად და ასევე, მინიმალური იყოს ადმინისტრაციული ხარჯი.

**რომელი შეეფერება H-ს ყველაზე მეტად ქვემოთ მოყვანილი ორგანიზაციული სტრუქტურებიდან?**

**ა.** ფუნქციონალური;

**ბ.** სამეწარმეო;

**გ.** განყოფილებები;

**დ.** მატრიცა. (2 ქულა)

13. **ქვემოთ მოყვანილთაგან, რომლებია ჰენდის მიერ ჩამოყალიბებული კულტურის ორი ტიპი?**

**(i)** როლის;

**(ii)** ბიუროკრატიული;

**(iii)** პიროვნების;

**(iv)** ინდივიდუალური.

**ა.** მხოლოდ (ii) და (iii);

**ბ.** მხოლოდ (i) და (iii);

**გ.** მხოლოდ (i), (ii) და (iii);

**დ.** მხოლოდ (i) და (ii). (2 ქულა)

14. **ჰენდის მიერ მოწოდებული კულტურის ოთხი ტიპიდან, რომელი გვხვდება ხშირად სამეწარმეო სტრუქტურაში?**

**ა.** დავალებრივი;

**ბ.** პერსონალური;

**გ.** როლის;

**დ.** ძალაუფლებრივი. (2 ქულა)

15. **ქვემოთ მოყვანილთაგან, რომელი არ წარმოადგენს დიდი მონაცემების ანალიზის უპირატესობას?**

**ა.** მონაცემთა მეტი უსაფრთხოება;

**ბ.** მომხმარებელთა საჭიროებებსა და სურვილებზე მეტად ფოკუსირება;

**გ.** გაუმჯობესებული გადაწყვეტილების მიღების პროცესი;

**დ.** ინოვაციური პროდუქტები. (2 ქულა)

**16.** A არის დიდი კომპანია, რომელსაც ჰყავს ძალიან ბევრი აქციონერი, რომელთაც არ აქვთ სურვილი, მონაწილეობა მიიღონ კომპანიის მართვაში, თუმცა ამის სრული უფლება აქვთ. **მენდელოუს მატრიცას მიხედვით, ეს დაინტერესებული ჯგუფი კლასიფიცირდება, როგორც:**

**ა.** მინიმალური ძალისხმევა;

**ბ.** მუდმივად უნდა იყოს დაკმაყოფილებული;

**გ.** მუდმივად უნდა იყოს ინფორმირებული;

**დ.** მთავარი მოთამაშე. (2 ქულა)

17. **კანონიერი უფლებამოსილების ზესახელმწიფოებრივი წყარო მოიცავს:**

**ა.** ლონდონის უზენაეს სასამართლოს;

**ბ.** აშშ-ის კანონმდებლობას;

**გ.** გაერთიანებული სამეფოს კანონმდებლობას;

**დ.** გაეროს რეზოლუციებს. (2 ქულა)

18. **ქვემოთ მოყვანილთაგან, რომელი არ წარმოადგენს სრულყოფილი ბაზრის მახასიათებელს?**

**ა.** მომწოდებელთა და მომხმარებელთა დიდი რაოდენობა;

**ბ.** მომწოდებლებისა და მომხმარებლებისათვის არსებობს სრულყოფილი ინფორმაცია;

**გ.** ყველა მომწოდებელი სთავაზობს პროდუქტებისა და მომსახურების ფართო სპექტრს;

**დ.** არ არსებობს ბაზარზე შესვლისა და ბაზრიდან გასვლის ბარიერები.

(2 ქულა)

19. **მოცემულია განაცხადები:**

(1) მოსახლეობის ზრდა, ჩვეულებრივ, მნიშვნელოვანია მხოლოდ საზოგადოებისთვის ან სამთავრობო ორგანიზაციებისთვის;

(2) „მიდგომები“ ნიშნავს, რას ანიჭებს უპირატესობას და როგორ არჩევანს აკეთებს ინდივიდი.

**რომელი განაცხად(ებ)ია სწორი?**

**ა.** მხოლოდ (1);

**ბ.** მხოლოდ (2);

**გ.** ორივე;

**დ.** არც ერთი.

(2 ქულა)

**20.** შპს X-ს აქვს ბუღალტრული აღრიცხვის ტრენინგის კურსები. ბაზარი სწრაფად იზრდება და X-ის კურსი მნიშვნელოვნად განსხვავდება მისი მეტოქეების კურსისგან. ყოველმა ახალმა კომპანიამ, რომელიც გადაწყვეტს ბუღალტრული აღრიცხვის კურსების დაარსებას, უნდა გაიაროს აკრედიტაცია სხვადასხვა საბუღალტრო ორგანიზაციებთან, რასაც რამდენიმე წელი სჭირდება.

**მოცემული ინფორმაციიდან გამომდინარე, ქვემოთ მოყვანილი განაცხადებიდან, რომელი შეესაბამება X-ის კონკურენტულ გარემოს?**

**ა.** ახალი მოთამაშეების შემოსვლა ბაზარზე ნაკლებად სავარაუდოა;

**ბ.** მომწოდებლის ძალაუფლება დაბალია;

**გ.** ბაზარზე შესვლის ბარიერი დაბალია;

**დ.** კონკურენცია დაბალია.

**(2 ქულა)**

**21.** ACCA-ის წევრებს მოეთხოვებათ ხუთი ფუნდამენტური პრინციპის დაცვა.

**რომელი სამი შედის აღნიშნულ ხუთ პრინციპში ქვემოთ მოყვანილთაგან?**

**ა.** სამართლიანობა, ობიექტურობა, პატიოსნება;

**ბ.** ზრდილობა, სანდოობა, პასუხისმგებლობა;

**გ.** სოციალური პასუხისმგებლობა, დამოუკიდებლობა, სკეპტიციზმი;

**დ.** პროფესიული კვალიფიკაცია და ყურადღება, პროფესიული ქცევა, კონფიდენციალობა. **(2 ქულა)**

**22. „აგენტობის პრობლება“ არის, როცა:**

**ა.** აქციონერები მოქმედებენ საკუთარი მოკლევადიანი და არა კომპანიის გრძელვადიანი ინტერესებიდან გამომდინარე;

**ბ.** დირექტორები იქცევიან საკუთარი და არა აქციონერთა ინტერესებიდან გამომდინარე;

**გ.** კომპანიების მნიშვნელოვნად არიან დამოკიდებული სახელმწიფო კონტრაქტებზე და მის ეფექტურ აგენტებს წარმოადგენენ;

**დ.** ხმის უფლების მქონე აქციონერები დირექტორებისგან მოითხოვენ მათი აგენტის ფუნქციის შესრულებას, რისთვისაც საკმაოდ დიდ დივიდენდებს უხდიან. **(2 ქულა)**

**23. ყოველწლიური ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნებისას კომპანიამ ის უნდა გაუგზავნოს შემდეგ ადრესატებს:**

**ა.** კომპანიების სახლს (მარეგულირებელი ორგანო გაერთიანებულ სამეფოში);

**ბ.** საგადასახადო ორგანოს;

**გ.** აქციონერებს;

**დ.** საფონდო ბირჟას.

**(2 ქულა)**

**24. რომელია გადასახადის შემცირება ქვემოთ მოყვანილთაგან?**

**ა.** ყველა კანონიერი საშუალების გამოყენება საგადასახადო ვალდებულების შესამცირებლად;

**ბ.** ფინანსური ჯარიმის გადახდა სამართლებრივი დევნის თავიდან ასაცილებლად;

**გ.** საგადასახადო ვალდებულებების შემცირება კანონმდებელთა განზრახვის/მიზნების დარღვევის გარეშე;

**დ.** კომპანიისა და მისი ფინანსური სახსრების ოფშორში გადატანა გაერთიანებულ სამეფოში საგადასახადო ვალდებულებების შესამცირებლად. **(2 ქულა)**

**25.** კომპანია აწარმოებს და ყიდის ავეჯს. გაყიდვებს აწარმოებს ელექტრონულად და საქონელს აწვდის მომხმარებელს. ახლახან ძალიან ბევრმა მომხმარებელმა გამოთქვა უკმაყოფილება, რომ მათთან მიტანილი ავეჯის სტილი და ფერი განსხვავდებოდა მათი შეკვეთილისგან.

**ქვემოთ მოყვანილთაგან კონტროლის რომელი მეთოდი დაეხმარება კომპანიას აღნიშნული პრობლემის გადაჭრაში?**

**(i)** ანგარიშ-ფაქტურის შედარება გასავლის ზედდებულთან;

**(ii)** გასავლის ზედდებულის შედარება მომხმარებლის შეკვეთასთან;

**(iii)** გაგზავნილი საქონლის შედარება გამოწერილ ანგარიშ-ფაქტურებთან;

**(iv)** გაყიდვების ჟურნალის რეგულარულად შეჯერება.

**ა.** მხოლოდ I;

**ბ.** მხოლოდ II;

**გ.** მხოლოდ III;

**დ.** მხოლოდ IV.

**(2 ქულა)**

**26. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელია ორგანიზაციის მიერ მიწოდებული მომსახურების მახასიათებელი?**

**ა.** მუდმივობა;

**ბ.** ინოვაცია;

**გ.** განცალკევება;

**დ.** ცვალებადობა. **(2 ქულა)**

**27. შიდა აუდიტის ძირითადი მიზანია:**

**ა.** ორგანიზაციის რისკების განსაზღვრისა და კონტროლის სისტემების შეფასება;

**ბ.** შეცდომებისა და თაღლითობის აღმოჩენა;

**გ.** ფინანსური ანგარიშგების ჭეშმარიტებისა და სამართლიანობის დადგენა;

**დ.** ფინანსური ანგარიშგების ჭეშმარიტებასა და სამართლიანობაზე კომპანიის შიდა მოსაზრების ჩამოყალიბება. **(2 ქულა)**

**28. რომელი წარმოადგენს „ნაღების მოხდის“ სქემას ქვემოთ მოყვანილთაგან?**

**ა.** გაყიდვების ხელოვნური გაზრდა ხდება მომხმარებელთან შეთანხმებით, დიდი ოდენობით გაყიდვებზე ანგარიშ-ფაქტურის გამოწერით;

**ბ.** მცირე ოდენობით თანხის გადახდის შეთავაზება, მომავალში დიდი მოგების მიღების მიზნით;

**გ.** მცირე თანხების გადამისამართება ხდება დიდი ოდენობით ოპერაციებიდან;

**დ.** ანგარიშ-ფაქტურის წარდგენა, რომელიც ხელოვნურად გაზრდილ თანხებს შეიცავს. **(2 ქულა)**

**29.** ჰარი კომპანიის მენეჯერია. მას არა აქვს კარგი ურთიერთობა თანამშომლებთან, რომლებიც ანგარიშგებას აბარებენ და არ გააჩნია რეალური ძალაუფლება თანამშრომლების დასასჯელად ან წასახალისებლად. **ფიდლერის მიხედვით, ქვემოთ ჩამოთვლილი მართვის სტილიდან რომელი შეესაბამება ჰარის?**

**ა.** ფსიქოლოგიურად ახლო;

**ბ.** ფსიქოლოგიურად დაშორებული;

**გ.** ფსიქოლოგიურად ერთგული;

**დ.** ფსიქოლოგიურად ღია. **(2 ქულა)**

**30.** რესტორნის მიმტანები გააფრთხილეს, რომ უნდა ეცვათ შავი პიჯაკები და ჰალსტუხები, რათა მომხმარებლებმა შეძლონ მათი ადვილად შემჩნევა.

**როლის თეორიის რომელ ასპექტს წარმოადგენს აღნიშნული?**

**ა.** როლის ნიშანი;

**ბ.** როლის ქცევა;

**გ.** როლის ამალა;

**დ.** როლის განმარტება. **(2 ქულა)**

**31.** ლუისი პროექტირების გუნდის წევრია. თანაგუნდელები მას ენდობიან, რომ წაიკითხოს და შეამოწმოს რთული პროექტების დოკუმენტაცია. ლუისს ფხიზელი თვალი აქვს და ხშირად ისეთ დეტალებს ხედავს, რაც სხვისთვის შეუმჩნეველია, მაგრამ შესაძლოა უმნიშვნელოც იყოს. დაძაბული შრომის მიუხედავად, ლუისი ყოველთვის დროზე ასრულებს დავალებებს. თუმცა, სხვა თანამშრომლები ხშირად იმედგაცრუებულნი არიან, როცა ლუისი უარს ამბობს მათ ჩართვაზე საქმიანობაში. ის ხელს უშლის პროგრესს, რადგან უარს ამბობს პროექტზე ხელის მოწერაზე, სანამ ყველა მისთვის საინტერესო საკითხზე პასუხს არ მიიღებს.

**ბელბინის გუნდის როლის თეორიის მიხედვით, რომელი როლი შეესაბამება გრანტს?**

**ა.** განმახორციელებელი;

**ბ.** მძერწავი;

**გ.** მონიტორ-შემფასებელი;

**დ.** დამსრულებელი. **(2 ქულა)**

**32.** შპს ფიმბლი არის დიდი ორგანიზაცია, რომელიც საკუთარი თანამშრომლების მოტივირებისა და საქმიანობის გაუმჯობესებისთვის იყენებს წახალისების სხვადასხვა ფორმას. **ქვემოთ ჩამოთვლილი წახალისების ფორმებიდანნ რომელი იქნება ყველაზე შესაფერისი კადრების განყოფილების თანამშრომლებისთვის?**

**ა.** საკომისიო;

**ბ.** მოგების განაწილება;

**გ.** ბონუსი თითოეულ წარმოებულ ერთეულზე;

**დ.** პროდუქტიულობის გეგმა. **(2 ქულა)**

**33.** ჯი არის უმცროსი თანამშრომლის მენეჯერი, რომელმაც ახლახან ძალიან კარგი სამუშაო შეასრულა. ჯის სურს მისი მოტივირება და სთავაზობს პასუხისმგებლობის უფრო მაღალ დონეს კომპანიაში. **სამსახურის რა ტიპის სისტემას სთავაზობს ჯი უმცროს თანამშრომელს.**

**ა.** სამუშაოს გამდიდრებას;

**ბ.** სამუშაოს მონაცვლეობას;

**გ.** სამუშაოს გაფართოებას;

**დ.** სამუშაოს შეცვლას. **(2 ქულა)**

**34.** **კოლბის მიხედვით, სწავლის პროცესი შედგება ოთხი ეტაპისგან. ქვემოთ მოყვანილთაგან, რომელი არ ეკუთვნის ამ ეტაპებს?**

**ა.** მრავალმხრივი;

**ბ.** აქტიური ექსპერიმენტები;

**გ.** ანალიზური დაკვირვება;

**დ.** გამოცდილება. **(2 ქულა)**

**35.** ჰონმა და მამფორდმა ჩამოაყალიბეს სწავლის ოთხი განსხვავებული სტილი.
**ქვემოთ მოყვანილთაგან, რომელია პრაგმატიკოსის დახასიათება?**

**ა.** ურჩევნია, გაერკვეს პრინციპებში;

**ბ.** ურჩევნია, ჯერ კარგად დაფიქრდეს და გაიაზროს;

**გ.** ურჩევნია, პირდაპირ პრაქტიკაში გამოსცადოს;

**დ.** ურჩევნია, პრაქტიკული მაგალითი ნახოს. **(2 ქულა)**

**36.** ჰანსი არის თანამშრომელი, რომლის შეფასებასაც ახდენს მისი მინეჯერი – ალი. ალი ჰანსს ატყობინებს, რომ მან მთელი წლის განმავლობაში ძალიან ცუდად იმუშავა და თავისი ნათქვამის დასადასტურებლად მოჰყავს ზოგიერთი ინცინდენტი. ალი ასკვნის, რომ მას სჭირდება დამატებითი წვრთნები მომდევნო წლის განმავლობაში, რათა გააუმჯობესოს საქმიანობის ხარისხი.
**რა ტიპის შეფასება ჰქონდა ჰანსს?**

**ა.** ბრძანება და მოსმენა;

**ბ.** ბრძანება და დასაბუთება;

**გ.** პრობლემის ერთობლივი მოგვარება;

**დ.** 360 გრადუსი. **(2 ქულა)**

37. ვიოლეტას აქვს უამრავი საქმე, რომლებიც მის ყურადღებას მოითხოვს და მათთვის პრიორიტეტების მინიჭება გადაწყვიტა. ერთი საქმე ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ ვიოლეტას აქვს რამდენიმე კვირა, ვიდრე მისი ჩაბარება მოუწევს.

**რა მიდგომა უნდა გამოიყენოს ვიოლეტამ ამ საქმის გაკეთებისას?**

**ა.** დელეგირება მოახდინოს ან უარი თქვას ამ საქმის შესრულებაზე;

**ბ.** მოახდინოს ამ საქმის იგნორირება;

**გ.** ახლავე მოახდინოს ამ საქმის დელეგირება;

**დ.** ახლავე დაიწყოს ამ საქმის გაკეთება და დიდი დრო დაუთმოს მას. **(2 ქულა)**

38. **ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი ორი არის მაღალი ხარისხის მიზნების მახასიათებლები?**

(1) წარმომადგენლობითი;

(2) დროში შეზღუდული;

(3) გაზომვადი;

(4) საქმიანობაზე დაფუძნებული.

**ა.** (1) და (2)

**ბ.** (2) და (4)

**გ.** (2) და (3)

**დ.** (1) და (3) **(2 ქულა)**

39. **მოცემულია ორი განაცხადი:**

(1) „გაფუჭებული ტელეფონი“ ხშირად გამოიყენება მენეჯმენტის მიერ ბრძანებებისა და ინსტრუქციების თანამშრომლებისთვის გადასაცემად;

(2) ერთმანეთთან ურთიერთობისას ინფორმაციის დიდი ნაწილი მეორე პირს, ძირითადად, გადაეცემა სიტყვებით და არა სხვა საშუალებებით, მაგალითად, სხეულის ენით ან ხმის ტონით.

**რომელი განაცხადია სწორი?**

**ა.** მხოლოდ (1)

**ბ.** მხოლოდ (2)

**გ.** ორივე;

**დ.** არც ერთი. **(2 ქულა)**

40. **კრიტიკულ სიტუაციებში ყველა მიმართულების სისტემა:**

**ა.** კიდევ უფრო კარგ შედეგებს იძლევა;

**ბ.** განიცდის ცვლილებას ან იშლება;

**გ.** გარდაიქმნება წრედ ან იშლება;

**დ.** ნელდება ან იმსხვრევა. **(2 ქულა)**

## განყოფილება ბ – ყველა, ხუთივე ამოცანაზე პასუხის გაცემა სავალდებულოა

### ამოცანა 1

(ა) PH არის კომპანია, რომელსაც აქვს მატარებლით მგზავრობის მომსახურების ბიზნესი ქვეყნის რამდენიმე დიდ ქალაქში. ამჟამად კომპანია ახორციელებს სტრატეგიული დაგეგმარებას თავისი მომავალი საქმიანობისთვის და გადაწყვიტა მისი გარემოს ანალიზისთვის გამოიყენოს პესტ (PEST) ანალიზი. ანალიზით გამოვლინდა ქვეყნის შიგნით არსებული მნიშვნელოვანი პრობლემები, რომელთაც კომპანიამ საკუთარი გეგმები უნდა მოარგოს.

**დაწერეთ, ქვემოთ მოყვანილი განაცხადებიდან რომელი ოთხი კლასიფიცირ-დება, როგორც პესტ ანალიზის „პოლიტიკური“ ფაქტორი:**

**ა.** ქვეყნის ხელისუფლებამ დააანონსა საავტომობილო და სარკინიგზო ხაზებზე დამატებითი დანახარჯების გაწევა;

**ბ.** ქვეყნის მოსახლეობა გარემოს აქტიური დამცველი გახდა;

**გ.** დაინერგა ახალი ინტერნეტსისტემა, რომლის საშუალებითაც გამარტივდება ბილეთის დაჯავშნა;

**დ.** ქვეყნის რკინიგზის ოპერატორებისთვის შემუშავდა ახალი ჯანმრთელობის დაცვისა და უსაფრთხოების რეგულაციები;

**ე.** ქვეყანაში საავტომობილო გზებზე გაიზარდა საცობები, რადგან მაცხოვ-რებლები აქტიურად გადაადგილდებიან;

**ვ.** გზების აღსადგენად, დამატებითი ერთჯერადი გადასახადი დაწესდა სარკინიგზო ოპერატორებისთვის;

**ზ.** ქვეყანაში კვალიფიციური მუშახელის ნაკლებობის გამო, გაიზარდა მატა-რებლების შეკეთების ხარჯები;

**თ.** ახალი სისტემების დანერგვა არის საჭირო მატარებლების შემოსვლისა და გამგზავრების ეფექტურობის გასაუმჯობესებლად.

**(0.5 ქულა თითოეული, = სულ 2 ქულა)**

(ბ) ქვეყნების ეკონომიკა მნიშვნელოვნად ზარალდება რამდენიმე ტიპის ინფლა-ციისგან, მათ შორის:

**ა.** მოლოდინის;

**ბ.** მონეტარული;

**გ.** იმპორტირებული;

**დ.** მოთხოვნით გამოწვეული.

**მოახდინეთ ქვემოთ მოყვანილი წინადადებების კლასიფიცირება, როგორც ა. (მოლოდინის), ბ. (მონეტარული), გ. (იმპორტირებული) ან დ. (მოთხოვნით გამოწვეული):**

**(i) ქვეყანა F-ში თანამშრომლები მოითხოვენ ხელფასების 5%-ით ზრდას, რათა დარწმუნებულები იყვნენ, რომ გაუმკლავდებიან მომავალ წელს დაანონსებულ ინფლაციას;**

**(ii) ქვეყანა F-ში სმარტფონების გაყიდვების ბუმია, რასაც შედეგად მოჰყვა მათი ფასების ზრდა;**

**(iii) ქვეყანა F-ში ვალუტა გაუფასურდა, რამაც გამოიწვია საზღვარგარეთ შეძენილი ნავთობის ფასის ზრდა;**

**(iv) ქვეყანა F-ის ხელისუფლებამ გაზარდა ბაზარზე ფულის მიწოდება.**

**(0.5 ქულა თითოეული, = სულ 2 ქულა)**

**(გ) როგორც წესი, საჯარო სექტორის ზრუნვის საგანია:**

**ა.** საქონლის გაყიდვით მოგების მიღება;

**ბ.** სპეციფიკური ჯგუფებისათვის საქველმოქმედო შეწირულობებით დაფინანსებული მომსახურების გაწევა;

**გ.** ძირითადი სახელმწიფო მომსახურების გაწევა;

**დ.** საერთო მომსახურების გასაწევად წევრებისგან სახსრების მოზიდვა. **(2 ქულა)**

**(სულ: 6 ქულა)**

## ამოცანა 2

(ა) შპს ელმა გადაწყვიტა საჯარო კომპანიად გარდაქმნა, რადგან სურს თავისი აქციების გაყიდვა ადგილობრივ საფონდო ბირჟაზე. კომპანია შიშობს, რომ საკმარისი ცოდნა არ გააჩნია კორპორაციული მართვისთვის, რაც ჩვეულებრივ მოეთხოვება საფონდო ბირჟაზე კოტირებულ კომპანიებს.

**ქვემოთ მოყვანილი განაცხადებიდან აირჩიეთ ოთხი სწორი ვარიანტი, არააღ-მასრულებელ დირექტორების საუკეთესო პრაქტიკასთან დაკავშირებით:**

**ა.** არააღმასრულებელ დირექტორებს არ გააჩნიათ ყოველდღიური მართვის პასუხისმგებლობა;

**ბ.** საუკეთესო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ არააღმასრულებელი დირექტორები ერთსა და იმავე კომპანიაში ხუთ წელზე მეტს არ უნდა მსახურებდნენ;

**გ.** არააღმასრულებელ დირექტორებს არ უნდა ჰქონდეთ კომპანიის აქციები, მაგრამ შეუძლიათ კომპანიის საპენსიო სქემაში ჩართვა;

**დ.** არააღმასრულებელი დირექტორები ესწრებიან დირექტორთა საბჭოს შეკ-რებებს და სიტყვა ეთქმით კომპანიის სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებისას;

**ე.** მცირე კომპანიებს, სულ მცირე, ორი არააღმასრულებელი დირექტორი უნდა ჰყავდეთ;

**ვ.** არააღმასრულებელ დირექტორებს მნიშვნელოვანი ბიზნესინტერესი არ გააჩნიათ იმ კომპანიის მიმართ, სადაც მსახურობენ;

**ზ.** არააღმასრულებელ დირექტორებს არ უნდა ჰქონდეთ ახლო ურთიერთობა აღმასრულებელ დირექტორებთან.

**(0.5 ქულა თითოეული = სულ 2 ქულა)**

(ბ) ელმა ასევე გაიგო, რომ თუ საფონდო ბირჟაზე კოტირება სურს, რამდენიმე კომიტეტის ჩამოყალიბება მოუწევს.

ქვემოთ მოყვანილი წინადადებები მოყვანილია ამ ანგარიშგებიდან, მაგრამ მათში გამოტოვებულია ადგილები, რომლებიც უნდა შეივსოს შესაბამისი კომიტეტების სახელწოდებებით.

„—1— კომიტეტი პასუხისმგებელია, რომ დირექტორთა საბჭო დაკომპლექ-ტებული იყოს შესაფერისი უნარ-ჩვევებისა და გამოცდილების მქონე წევრებით; აგრეთვე, უზრუნველყოს საკმარისი არააღმასრულებელი დირექტორების არსებობა.“

**(i) აირჩიეთ ტერმინი, რომელიც ზუსტად შეესაბამება გამოტოვებულ ადგილს 1.**

ანაზღაურების / აუდიტის / ნომინირების / საჯარო ზედამხედველობის

„ — 2 — რომელიც სრულად არის დაკომპლექტებული არააღმასრულებელი დირექტორებით, ამოწმებს როგორც შიდა კონტროლის სისტემებს, ისე კომპა-ნიის ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა“.

**(ii) აირჩიეთ ტერმინი, რომელიც ზუსტად შეესაბამება გამოტოვებულ ადგილს 2.**

ანაზღაურების / აუდიტის / ნომინირების / საჯარო ზედამხდეველობის

**(1 ქულა თითოეული, სულ = 2 ქულა)**

(გ) ჯონი მუშაობას იწყებს ახალ კომპანიაში. მან აღმოაჩინა, რომ წინა სამსახურისგან განსხვავებით, თანამშრომლები ატარებენ თავისუფალი სტილის ტანსაცმელს.

**შაინის მიხედვით, კულტურის რომელი დონე აღმოაჩინა ჯონმა?**

**ა.** არტეფაქტები;

**ბ.** ორგანიზაციასთან მჭიდროდ დაკავშირებული და წახალისებული ღირებულებები;

**გ.** არაფორმალური წესები;

**დ.** ძირითადი დაშვებები და ღირებულებები. **(2 ქულა)**

**(სულ: 6 ქულა)**

## ამოცანა 3

(ა) კომპანია TGD სადაზღვევო პოლისებს ყიდის თავისი აგენტების დახმარებით, რომლებიც მომხმარებლებს კარდაკარ სთავაზობენ პოლისებს P ქვეყანაში. ქვეყანაში ეს საქმიანობა მკაცრად რეგულირებულია – აგენტმა უნდა დასვას კონკრეტული კითხვები და გააკეთოს განსაზღვრული განცხადებები იმის უზრუნველსაყოფად, რომ სადაზღვევო პოლისი იურიდიულად გამართული იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, პოლისი მიიჩნევა გაუქმებულად და ზოგ შემთხვევაში, შეიძლება ქვეყნის მთავრობამ წამოიწყოს კომპანიის სამართლებრივი დევნა. სახელმწიფო რეგულარულად ატარებს კომპანიის საქმიანობისა და ჩანაწერების აუდიტს.

TGD იმედებს ამყარებს თავისი აგენტების საწვრთნელ პროგრამაზე, რომლითაც ისინი შეისწავლიან აუცილებელ რეგულაციებს. მიუხედავად ამისა, TGD-მ აღმოაჩინა, რომ გასულ თვეებში საკმაოდ ბევრი პოლისი იყო გაყიდული წესების დაცვის გარეშე. ამიტომ კომპანია გეგმავს ფორმალური პროცედურების სერიის შექმნას, რომელიც ყველა აგენტმა უნდა დაიცვას. ეს იქნება გაწერილი რამდენიმე დოკუმენტად, რომელსაც სადაზღვევო აგენტი მომხმარებელთან ერთად გაივლის და რაც უზრუნველყოფს ყველა სამართლებრივი მოთხოვნის დაცვას.

**ქვემოთ მოყვანილი განაცხადებიდან, რომელი ოთხი იქნება TGD-ს მიერ შემუშავებული ფორმალური პროცედურების შედეგი:**

**ა.** შედარებით გრძელვადიანი საწვრთნელი პროგრამა ახალი სადაზღვევო აგენტებისთვის;

**ბ.** აგენტებს აქვთ ფორმალური დოკუმენტაცია, რომლის გამოყენებაც შეუძლიათ, როცა პროცედურის სისწორეში ეჭვი შეეპარებათ;

**გ.** სახელმწიფო აუდიტორებისთვის უფრო ადვილია TGD-ს საქმიანობის შესაბამის რეგულაციებთან თავსებადობის შემოწმება;

**დ.** ჯარიმებისა და სამართლებრივი დევნის ნაკლები რისკი სახელმწიფოს მხრიდან;

**ე.** უფრო ადვილია იმ შემთხვევების აღმოჩენა, სადაც პროცედურები დარღვეული იყო;

**ვ.** სადაზღვევო აგენტებს გაუადვილდებათ არასტანდარტული ოპერაციების შესრულება;

**ზ.** შემცირდება TGD-ს ადმინისტრაციული ხარჯები;

**თ.** შესაძლებელი იქნება სხვადასხვა ოპერაციების განსხვავებულად ჩაწერა, რაც ზრდის მოქნილობას.

**(0.5 ქულა თითოეული = სულ 2 ქულა)**

(ბ) TGD-ს მენეჯერებიც, აგრეთვე, სწავლობენ თავიანთ შესყიდვების სისტემას და აღმოაჩინეს შემდეგი საფეხურები:

**ა.** შეკვეთა;

**ბ.** საქონლის მიღება;

**გ.** მოთხოვნა;

**დ.** ანგარიშ-ფაქტურის აღრიცხვა.

**დაალაგეთ მოცემული საფეხურები სწორი თანმიმდევრობით (ყველაზე ადრეული საფეხურის პირველად ჩაწერით).**

**(0.5 ქულა თითოეული = სულ 2 ქულა)**

**(გ) B-მ საკუთარ ორგანიზაციაში აღმოაჩინა თაღლითობის ფაქტი. უპირველეს ყოვლისა, ვინ უნდა ჩააყენოს საქმის კურსში ამის შესახებ?**

**ა.** პროფესიონალ ბუღალტერთა ორგანიზაცია;

**ბ.** კომპანიის მთავარი აქციონერი;

**გ.** თავისი კომპანიის ეთიკურ კოდექსთან შესაბამისობის ოფიცერი;

**დ.** შესაბამისი ორგანოები. **(2 ქულა)**

**(სულ: 6 ქულა)**

## ამოცანა 4

(ა) მანუფაქტურული წარმოება აწარმოებს და ყიდის ფანქრებს. მისი მთავარი მენეჯერი – ელენე – კომპანიაში ორ მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს – კომპანიის სამუშაოს ყოფს ცალკეულ ამოცანებად და პასუხისმგებლობას ანაწილებს თანამშრომლებზე;

**ქვემოთ მოცემული მენეჯერის რამდენიმე ფუნქციებიდან, რომელი სამი არის მენეჯერის ფუნქცია (ფეიოლის მიხედვით)?**

ა. ორგანიზება

ბ. კოორდინირება;

გ. კონტროლი;

დ. პროგნოზირება და დაგეგმვა;

ე. ბრძანება;

ვ. კრიტერიუმების შექმნა.

**(0.5 ქულა თითოეული, სულ = 1.5 ქულა)**

(ბ) HB-ის მენეჯერის რამდენიმე ისეთი უნარ-ჩვევა, რომელიც მნიშვნელოვანია მისი როლის შესასრულებლად ორგანიზაციაში:

ა. იგი აგროვებს და ახარისხებს ინფორმაციას თანამშრომელთა მუშაობის შესახებ და ფართო ორგანიზაციულ კონტექსტში ეხმარება კომპანიის დირექტორებს გადაწყვეტილების მიღებაში;

ბ. იგი განუწყვეტლივ ეძებს პრობლემებს ორგანიზაციაში და გამოთქვამს მოსაზრებას, როგორ უნდა გადაიჭრას ისინი;

გ. კომპანიის მომწოდებლებთან კონტაქტებს ინარჩუნებს და მათ რეგულა-რულად ხვდება იფორმაციის მისაღებად;

დ. ის ხვდება პოტენციურ კლიენტებს და უხსნის მათ, რა შეუძლია HB-მ მათთვის გააკეთოს;

ე. ის აკონტროლებს კომპანიის ძირითად საშუალებებზე დანახარჯებს.

**შეუსაბამეთ ზემოთ მოყვანილ თითოეულ დახასიათებას შესაბამისი მენეჯე-რული უნარ-ჩვევა მინცბერგის მენეჯერების უნარების თეორიის მიხედვით.**

**(i)** მეწარმე;

**(ii)** წარმომადგენელი;

**(iii)** დამაკავშირებელი რგოლი;

**(iv)** რესურსების გამნაწილებელი;

**(v)** დამკვირვებელი.

**(0.5 ქულა თითოეული = სულ 2.5 ქულა)**

**(გ) ქვემოთ მოყვანილთაგან, რომელია მინცბერგის მიერ გამოყენებული სამი ძირითადი კატეგორია, რომელსაც ის იყენებს მენეჯერებისთვის საჭირო ათი უნარ-ჩვევის დასაჯგუფებლად?**

**(i)** პიროვნებათშორისი;

**(ii)** გადაწყვეტილებითი;

**(iii)** ინფორმაციული;

**(iv)** ინდივიდუალური.

**ა.** (i), (ii) და (iv)

**ბ.** (i), (iii) და (iv)

**გ.** (i), (ii) და (iii)

**დ.** (ii), (iii) და (iv) **(2 ქულა)**

**(სულ: 6 ქულა)**

## ამოცანა 5

(ა) **ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი ოთხი წარმოადგენს IESBA-ის ეთიკის კოდექსის ნაწილს:**

**ა.** პატიოსნება;

**ბ.** ობიექტურობა;

**გ.** კონფიდენციალობა;

**დ.** მზადყოფნა;

**ე.** ნდობა;

**ვ.** წესიერება;

**ზ.** პროფესიული ქცევა;

**თ.** გამჭვირვალობა.

**(0.5 ქულა თითოეულს, = სულ 2 ქულა)**

(ბ) პროფესიონალი ბუღალტერი შესაძლოა აღმოჩნდეს სხვადასხვა ეთიკური საფრთხის/დილემის წინაშე. მაგალითად:

ქვემოთ მოყვანილი წინადადებები შეიცავს გამოტოვებულ ადგილებს, რომლებიც შეესაბამება ერთ-ერთ ეთიკურ საფრთხეს.

ბუღალტერმა ორგანიზაციას, სადაც მუშაობს, თავდაპირველად შესთავაზა ახალი სტრატეგია. შემდეგ მას სთხოვეს ამ სტრატეგიის შესწავლა იმის დასადგენად, რამდენად წარმატებული იყო იგი. ბუღალტერი დგას თავისი პროფესიული ეთიკის —1— საფრთხის წინაშე.

**(i) აირჩიეთ ის ეთიკური საფრთხე, რომელიც სწორად შეავსებს გამოტოვებულ ადგილს - 1;**

პირადი ინტერესები; / მეგობრული ურთიერთობები / დაცვის მცდელობა / თვითშეფასება

ბუღალტერს სთხოვეს ანგარიშგებების გადახედვა, რომლებზეც ამჟამად მისი მეუღლე მუშაობს. ამრიგად, ის აღმოჩნდა —2— საფრთხის წინაშე.

**(ii) აირჩიეთ ის ეთიკური საფრთხე, რომელიც სწორად შეავსებს გამოტოვებულ ადგილს 2;**

პირადი ინტერესები; / მეგობრული ურთიერთობები / დაცვის მცდელობა / თვითშეფასება

**(0.5 ქულა თითოეული, = სულ 2 ქულა)**

**(გ)** მიზეზები, რის გამოც თანამშრომლები ტოვებენ ორგანიზაციას, იყოფა სამ კატეგორიად:

**(1)** გათავისუფლება;

**(2)** გარდაუვალი;

**(3)** თავიდან აცილება.

**რომელი ზემოხსენებულია სწორი?**

**ა.** მხოლოდ (1) და (2)

**ბ.** მხოლოდ (1) და (3)

**გ.** მხოლოდ (2) და (3)

**დ.** (1), (2) და (3) **(2 ქულა)**

**(სულ: 6 ქულა)**